ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N69

2024 წელი; 27 დეკემბერი; 10:30 სთ; ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ნინო ვარდოსანიძე (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
მარიამ გელაშვილი
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე

მოწვეული პირები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსი;
3. **დავით ჯაიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
4. **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
5. **თათია ბარაქაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
6. **თამარ ბერუაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
7. **გიორგი შარკოვი** - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ დირექტორი;
8. **დავით ჩანქსელიანი** - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენელი;
9. **ბექა მიქაუტაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებელი;
10. **გიორგი ნამგალაური** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის კანდიდატი;
11. **შალვა ლომსაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი.

სხდომის თავმჯდომარე:

ნინო ვარდოსანიძე
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ნამგალაურის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
4. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2025 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების** პროექტი;
10. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**
12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ

გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;**

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის პროექტის (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი) შესახებ ხელშეკრულების“ გაფორმების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
14. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.017) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
15. „ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N19-ში მდებარე 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.015.025) პირდაპირი განკარგვის წესით ქეთევან ქავზინაძისთვის (პ/ნ: 59001022626) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
16. „ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N100, სკვერის მიმდებარედ არსებული 773 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.12.029.056) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
17. „ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა N7-ში, შენობა-ნაგებობა N 1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: 01.10.13.015.127) და მოძრავი ქონების (ინვენტარის) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აგროჰაბისთვის“ (ს/ნ:404502098) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
18. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;**
19. „ქ. თბილისი, მარიჯანის ქ. N2-ში (ს/კ 01.14.03.039.007) მდებარე დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისა და დაზარალებულ პირთა დაკმაყოფილების მიზნით შპს „საბურთალოს“ (ს/ნ 405411095) და შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/ნ 204460957) მიმართ დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს წინადადებით მიმართა სხდომის დღის წესრიგის პროექტში მე-18 საკითხის სახით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამატებისა და დღის წესრიგის პროექტის ახლებური ნუმერაციით ჩამოყალიბების თაობაზე, რაც კომისიის წევრების მიერ ერთხმად იქნა მხარდაჭერილი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. **გაიოზ თალაკვაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული,** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ნამგალაურის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მ/წლის 25 დეკემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ნამგალაურის დანიშვნაზე** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის საკითხს.

გაიოზ თალაკვაძემ ისაუბრა წარმოდგენილი კანდიდატურის კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტზე,** რომლის თანახმადაც, **თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას,** ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების გარდა, **აგრეთვე განეკუთვნება - ამ კანონით დადგენილი წესით თბილისის მთავრობის წევრის თანამდებობაზე დანიშვნაზე თანხმობის მიცემა.**

კომისიის თავმჯდომარემ აქვე დასძინა, რომ ამავე ორგანული კანონის **77-ე მუხლის მე-2 პუნქტის** თანახმად, **თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს თბილისის საკრებულოს თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს თბილისის მერი.** თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია და უფლებამოსილებას იხსნის თბილისის მერის წინაშე.

ნინო ვარდოსანიძემ ასევე ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ კანდიდატურას და გადაწყვიტეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი ნამგალაურის დანიშვნაზე თანხმობის გაცემის საკითხზე უნდა იმსჯელოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ამავე საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

მოისმინეს:

2. გაიოზ თალაკვაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეორე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცებას და მოხელის ყოველთვიური** თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2025 წელს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით **საბაზო** თანამდებობრივი სარგო **განისაზღვრა 1460 ლარის ოდენობით,** შესაბამისად **ორგანიზაციის საშტატო** განრიგით **განსაზღვრული** კოეფიციენტი **უნდა** გამრავლდეს **საბაზო** თანამდებობრივ **სარგოზე 1460 ლარზე** და აღნიშნულის გათვალისწინებით **განისაზღვროს მოხელის ყოველთვიური** თანამდებობრივი **სარგო.** აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის მე-2 მუხლის მიხედვით, **ძალადაკარგულად** გამოცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N34-95 დადგენილება.**

მოხსენების მიწურულს, გაიოზ თალაკვაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ცვლილებით გამოწვეული დამატებითი რესურსი გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში და **აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2025 წლის 1-ლი** იანვარი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. გაიოზ თალაკვაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მესამე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის** რაიონის **გამგეობების საშტატო** ნუსხის **დამტკიცებას** და **მოხელის ყოველთვიური** თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრას.

მომხსენებლის განმარტებით, „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2025 წელს საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების განსაზღვრის მიზნით **საბაზო** თანამდებობრივი **სარგო** **განისაზღვრა 1460 ლარის ოდენობით,** შესაბამისად **ორგანიზაციის საშტატო** განრიგით **განსაზღვრული** კოეფიციენტი **უნდა** გამრავლდეს **საბაზო** თანამდებობრივ **სარგოზე 1460 ლარზე** და აღნიშნულის გათვალისწინებით **განისაზღვროს მოხელის ყოველთვიური** თანამდებობრივი **სარგო.** აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის მე-2 მუხლის მიხედვით,

ძალადაკარგულად გამოცხადდება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 დეკემბრის N34-94 დადგენილება.

მოხსენების მიწურულს, გაიოზ თალაკვაძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან, საბაზო თანამდებობრივი სარგოს ცვლილებით გამოწვეული დამატებითი რესურსი გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში და აქვე დასძინა, რომ დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2025 წლის 1-ლი იანვარი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეოთხე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში ცვლილების შეტანას.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, ვინაიდან „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2025 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო იზრდება 10%-ით და განისაზღვრება 1460 ლარის ოდენობით, მიზანშეწონილია ასევე განხორციელდეს ცვლილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში. მაჟორიტარული სისტემით არჩეული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წარმომადგენლობის ფუნქციონირებისთვის, თბილისის ბიუჯეტიდან, საკრებულოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, ყოველთვიურად გამოყოფილი თანხების ოდენობა, განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, შესაბამისად ცვლილება შედის „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებით, ასევე ხორციელდება ცვლილება საკრებულოს წევრების მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მომხსენებლის მითითებით, რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს თითოეული წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა შეადგენს თვეში 5150 ლარს.

3. ხარჯების განსაზღვრა ხდება ამ თანხის ზღვრული მოცულობიდან:

ა) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს უფლება აქვთ ფრაქციის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ ფრაქციაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 1160 ლარისა, თანახმად ფორმა N1-ისა;

ბ) საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებს უფლება აქვთ კომისიის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ შესაბამის კომისიაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 1330 ლარისა, თანახმად ფორმა N2-ისა;

გ) საკრებულოს წევრს, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში ყოველთვიურად, საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების, მოსახლეობასთან შეხვედრებისა და სხვა აქტივობების განხორციელებისთვის აუნაზღაურდეს გაწეული ხარჯი, არაუმეტეს 1160 ლარის ოდენობით თანახმად ფორმა №3-ისა;

დ) დარჩენილი 1330 ლარის საკრებულოს წევრზე გაცემის უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრის საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში."

კომისიის თავმჯდომარემ აქვე დასძინა, რომ ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება **რეგლამენტის 15[6] მუხლის პირველი პუნქტიც**, რომლის თანახმადაც:

„1. წარმომადგენლობის ფუნქციონირებისთვის ქ. თბილისის ბიუჯეტიდან საკრებულოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ყოველთვიურად გამოიყოფა შემდეგი ოდენობის თანხები:

ა) სამგორის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;

ბ) ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;

გ) გლდანის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი;

დ) საბურთალოს რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 20 000 (ოცი ათასი) ლარი;

ე) ისნის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 20 000 (ოცი ათასი) ლარი;

ვ) ვაკის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 16 000 (თექვსმეტი ათასი) ლარი;

ზ) დიდუბის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 16 000 (თექვსმეტი ათასი) ლარი;

თ) მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 10 000 (ათი ათასი) ლარი;

ი) კრწანისის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 10 000 (ათი ათასი) ლარი;

კ) ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარული ოლქი – 10 000 (ათი ათასი) ლარი."

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტის მიღება არ მოახდენს ზეგავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო/ხარჯვით ნაწილზე და ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და **აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2025 წლის 1-ლი იანვარი.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის მეორე პუნქტით განსაზღვრული, რეგლამენტის 15[6] მუხლის პირველ პუნქტში არსებული ტექნიკური ხასიათის გასწორებისა და აღნიშნული პუნქტის შესაბამისი რედაქციით ჩამოყალიბების რეკომენდაციაზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეხუთე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანას.**

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, ვინაიდან „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2025 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, **დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო გაიზარდა 10%-ით და განისაზღვრა 1460 ლარის ოდენობით,** იზრდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოები.

ნინო ვარდოსანიძის განმარტებით, აღნიშნული ცვლილების მიზანია **საკრებულოს თანამდებობის პირთა და პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა,** ასევე ოპტიმიზაციის მიზნით **ხორციელდება რამდენიმე შიდა ტექნიკური საშტატო ცვლილება, თუმცა საშტატო რიცხოვნობა არ იცვლება; კერძოდ:**

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სამდივნოს საშტატო რაოდენობა მცირდება ერთი ერთეულით - კერძოდ, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ერთი შტატით და მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო რაოდენობა გახდება 2 (ორი) ერთეული;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ერთი შტატი შეიცვლება პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატით, შესაბამისად, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო რაოდენობა გახდება 4 (ოთხი) ერთეული, ხოლო მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო რაოდენობა კი 1 (ერთი) ერთეული;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილების მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ერთი შტატი შეიცვლება პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატით, შესაბამისად, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო რაოდენობა გახდება 3 (სამი) ერთეული, ხოლო მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო რაოდენობა კი 1 (ერთი) ერთეული;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებას დაემატება 1 (ერთი) ერთეული პირველი

კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი და პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო რაოდენობა გახდება 8 (რვა) ერთეული.

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე და **აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2025 წლის 1-ლი იანვარი.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ მიზანშეწონილად მიიჩნია დადგენილების პროექტის დანართში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი. კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სამდივნოს საშტატო რაოდენობაში პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის რაოდენობაში მიეთითოს 2 (ორი) ერთეული, ხოლო მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის რაოდენობაში 2 (ორი) ერთეული.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ნინო ვარდოსანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეექვსე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2025 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის ოდენობის დაწესებას.**

როგორც კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა **განისაზღვრება 3 წევრით სახელფასო ლიმიტის ოდენობა განისაზღვრება 87 840 ლარით (თვეში არაუმეტეს 7320 ლარი).** იმ ფრაქციისთვის, რომლის **წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი დამატებით განისაზღვრება 1900 ლარით, ხოლო ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი - შესაბამისი პროპორციით.** ასევე, ყოველთვიურად გამოყოფილი თანხის სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში, **ფრაქციის თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე, დარჩენილი თანხა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს შემდეგ თვეებში.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის მესამე პუნქტის მიხედვით, **ძალადაკარგულად გამოცხადდება** „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2024 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N668 განკარგულება,** ხოლო წარმოდგენილი განკარგულების პროექტის მიღების შემთხვევაში, **განკარგულება ძალაში შევა 2025 წლის 1 იანვრიდან.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. თამარ ბერუაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეშვიდე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცებას:**

ა) „დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №1);

ბ) „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №2);

გ) „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №3);

დ) „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №4);

ე) „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №5);

ვ) „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №6);

ზ) „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტებისა და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №7)

თ) „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №8).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-100 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას,** ხოლო **დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2025 წლის პირველი იანვარი.**

თამარ ბერუაშვილმა ყურადღება გაამახვილა დადგენილების პროექტით წარმოდგენილი წესების პროექტებით განსაზღვრულ ღონისძიებებზე, ასევე მათ განსხვავებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოქმედი დადგენილებით დამტკიცებულ წესებთან მიმართებით, შემდეგი სახით:

- **„დაავადებათა სკრინინგის განხორციელების წესი“**: რედაქციული ცვლილება შეეხო **წესის** მე-2 **მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტს** და განისაზღვრა საჭიროების შემთხვევაში საშვილოსნოს ყელის დათვალიერება და პაპ-ტესტის (PAP-ტესტი) ჩატარება ბეტესტას მეთოდის საფუძველზე 25 წლიდან 30 წლამდე ასაკის ჩათვლით ქალებში. ახალი რედაქციით დაემატა **ცერვიკალური ნაცხის აღების საჭიროება.** ასევე რედაქციულ ცვლილებას დაექვემდებარა ზემოაღნიშნული **წესის „ბ.გ“ ქვეპუნქტი,**

სითხეზე დაფუძნებული ციტოლოგია - ტერმინოლოგიურად დაზუსტდა და დაემატა აბრევიატურა - LBC. წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ" ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნა მითითება „ბ.ა" და „ბ.ბ" ქვეპუნქტებზე, ახალი რედაქციით განისაზღვრა პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში კოლპოსკოპიური კვლევა; ტერმინოლოგიური ცვლილება განიცადა აღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ე" და „დ.გ" ქვეპუნქტებმა.

- „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესი" გაგრძელდება იმავე სახით 2025 წელს, როგორც იყო დამტკიცებული 2024 წელს.

- „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი" გაგრძელდება იმავე სახით 2025 წელს, როგორც იყო დამტკიცებული 2024 წელს.

- „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესი": ცვლილებები განხორციელდა წესის მე-3 მუხლის „ა.ბ" ქვეპუნქტში. კერძოდ, მითითებულ ნორმაში გაჩნდა ახალი დანაწესი და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია და ტრანსპლანტაცია (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა. ამასთან, აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია ფინანსდება მხოლოდ საქართველოს ფარგლებს შიგნით მიმწოდებლად რეგისტრირებულ დაწესებულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმოდგენილია ქვეპროგრამაში ჩართული მიმწოდებლების წარმომადგენელთაგან დაკომპლექტებული კონსილიუმის დასკვნა, რომლის მიხედვითაც დასტურდება მომსახურების საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებულ სამედიცინო დაწესებულებაში გაწევის აუცილებლობა".

- „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი" გაგრძელდება იმავე სახით 2025 წელს, როგორც იყო დამტკიცებული 2024 წელს.

- „ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების ქვეპროგრამის განხორციელების წესი" გაგრძელდება იმავე სახით 2025 წელს, როგორც იყო დამტკიცებული 2024 წელს.

- „გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების და კვლევების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესი" გაგრძელდება იმავე სახით 2025 წელს, როგორც იყო დამტკიცებული 2024 წელს.

- „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების" ქვეპროგრამის განხორციელების წესი" გაგრძელდება იმავე სახით 2025 წელს, როგორც იყო დამტკიცებული 2024 წელს.

მოხსენების მიწურულს, თამარ ბერუაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ აღნიშნული ქვეპროგრამების დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის სათაურის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. თამარ ბერუაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მერვე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცებას:**

ა) „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №1);

ბ) „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №2);

გ) „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №3);

დ) „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №4);

ე)„სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების“ (კოდი: 06 02 24) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №5);

ვ) „უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში“ და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №6);

ზ) „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში“ ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში სწავლების დაფინანსების წესი“ (დანართი №7);

თ) „შინმოვლის თანადაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №8).

ი) „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №9);

კ) „მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ (დანართი №10).

მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-99 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას,** ხოლო **დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2025 წლის პირველი იანვარი.**

თამარ ბერუაშვილმა ყურადღება გაამახვილა დადგენილების პროექტით წარმოდგენილი წესების პროექტებით განსაზღვრულ ღონისძიებებზე, ასევე მათ განსხვავებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოქმედი დადგენილებით დამტკიცებულ წესებთან მიმართებით, შემდეგი სახით:

- „სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარების" (კოდი: 06 02 25) ქვეპროგრამის განხორციელების წესი": მოქმედი წესისგან განსხვავებით, **დახმარების გაცემისას ქვეპროგრამის განმახორციელებელი იხელმძღვანელებს** სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მოწოდებულ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" **პროგრამის მოსარგებლე ოჯახის, ბავშვის დაბადების თარიღისთვის (ნაცვლად დაბადების თვისა) არსებული სარეიტინგო ქულით.** აღნიშნული ცვლილება განპირობებულ იქნა ელექტრონულ მოდულზე გადასვლით, რომლის საშუალებითაც უფლებამოსილი ორგანოსთვის შესაძლებელი გახდა ბავშვის დაბადების კონკრეტული თარიღისთვის არებული ინფორმაციის მოპოვება ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის შესახებ. შესაბამისად, წესი დაზუსტდა და უფრო სამართლიანი გახდა პროგრამის მოსარგებლეთათვის.

- „100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარების" (კოდი: 06 02 05) ქვეპროგრამის განხორციელების წესი" გაგრძელდება იმავე სახით 2025 წელს, როგორც იყო დამტკიცებული 2024 წელს.

- „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების" ქვეპროგრამის (კოდი: 06 02 02) განხორციელების წესი": ერთმანეთისგან გაიმიჯნა „სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარების" და „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების" ქვეპროგრამების განხორციელების წესები. მოქმედი დადგენილებით ორივე წესი გაერთიანებულია ერთი დანართის ქვეშ, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ორი დამოუკიდებელი ქვეპროგრამაა და მოსარგებლეებიც სხვადასხვა კატეგორიის პირები არიან, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მათი გამიჯვნა. **წესის მოქმედება გაგრძელდება იმავე სახით 2025 წელს, როგორც იყო** დამტკიცებული 2024 წელს.

- „სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარების (კოდი: 06 02 22) ქვეპროგრამის განხორციელების წესი" გაგრძელდება იმავე სახით 2025 წელს, როგორც იყო დამტკიცებული 2024 წელს.

- „სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარების" (კოდი: 06 02 24) ქვეპროგრამის განხორციელების წესი" გაგრძელდება იმავე სახით 2025 წელს, როგორც იყო დამტკიცებული 2024 წელს.

- „უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში" (კოდი: 06 02 06 01) და „უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში" (კოდი: 06 02 06 02) ქვეპოგრამების განხორციელების წესი": ქვეპროგრამით მოსარგებლე პირების რაოდენობა გაიზარდა 5 ერთეულით და სრული რაოდენობა განისაზღვრა 2638 ბენეფიციარით.

- „უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში" (კოდი: 06 02 06 03) ქვეპროგრამის ფარგლებში „სოციალურად დაუცველი მოსწავლეების საცურაო აუზებში

სწავლების ღირებულების ანაზღაურების წესი“ გაგრძელდება იმავე სახით 2025 წელს, როგორც იყო დამტკიცებული 2024 წელს.

- „შინმოვლის თანადაფინანსების“ (კოდი: 06 02 26) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ გაგრძელდება იმავე სახით 2025 წელს, როგორც იყო დამტკიცებული 2024 წელს.
- „სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსების“ (კოდი: 06 02 08) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ გაგრძელდება იმავე სახით 2025 წელს, როგორც იყო დამტკიცებული 2024 წელს.
- „მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის“ (კოდი: 06 02 03) ქვეპროგრამის განხორციელების წესი“ გაგრძელდება იმავე სახით 2025 წელს, როგორც იყო დამტკიცებული 2024 წელს.

მოხსენების მიწურულს, თამარ ბერუაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ აღნიშნული ქვეპროგრამების დაფინანსება გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის დანართი N6-ით წარმოდგენილი წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტში ტექნიკური ხასიათის ხარვეზის გასწორების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ბექა მიქაუტაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით** გათვალისწინებული **„დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის** განხორციელების წესის დამტკიცებას.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნული წესი არეგულირებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დანგრეული ან საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლების მაცხოვრებელთა, ასევე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა აუცილებელი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისათვის საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაციის გაცემის პირობებსა და პროცედურებს.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, **ძალადაკარგულად გამოცხადდება** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა

კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N35-101 დადგენილება.**

მოხსენების მიწურულს, ბექა მიქაუტაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და **აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2025 წლის 1-ლი იანვარი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეათე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით** დამტკიცებულ **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“** (შემდგომში -„განაშენიანების რეგულირების წესები“) **ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ცვლილება ხორციელდება **განაშენიანების** რეგულირების **წესების 24-ე მუხლის მე-8 პუნქტთან დაკავშირებით.** კერძოდ, ცვლილება ეხება მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი, სასტუმროს ან საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით ინდივიდუალური პარამეტრების დადგენისას, იმ მოთხოვნას, **რაც გულისხმობს ფართობისა და ზომების მიხედვით განაშენიანების** რეგულირების **წესებით** შესაბამისი **ზონისათვის** დადგენილი **მიწის ნაკვეთის პარამეტრების 3/4-ს** მაინც.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, **განაშენიანების** რეგულირების **წესების 24-ე** მუხლს **მე-8** პუნქტის **შემდეგ** დაემატება **8[1]** **პუნქტი,** რომლის თანახმადაც, **ზემოაღნიშნული** რეგულირება **აღარ** გავრცელდება **იმ** მიწის **ნაკვეთებზე, რომლებზეც** ვრცელდება **ორი, ან ორზე** მეტი ფუნქციური **ზონა (სსზ-1, სსზ-2, სზ-5, სზ-6), ასევე, იმ** მიწის **ნაკვეთებზე, რომლებზეც** წინამდებარე **პუნქტში** მითითებული **ზონები** ვრცელდება **მიწის** ნაკვეთის **¾-ზე** მეტ **ფართობზე** და **მასზე** ასევე ვრცელდება **სარეკრეაციო ზონა 1- (რზ-1).**

მოხსენების მიწურულს, **ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა,** რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი თანხების გამოყოფას ბიუჯეტიდან და მისი ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე და **აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების** ამოქმედების თარიღად განისაზღვრება მისი გამოქვეყნების დღე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა დადგენილების პროექტის პირველი მუხლით გათვალისწინებული, განაშენიანების რეგულირების წესების 24-ე მუხლის 8[1] პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთერთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებით** დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესში“ (შემდგომში - „წესი“) ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, პროექტის მიღების **მიზანია, მოხდეს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, **მისაწოდებელი მომსახურებების ხარისხის დახვეწა, ეფექტურობისა და მოცულობის გაზრდა,** შესაბამისი რეგულირების დადგენა, რომელიც **შესაძლებლობას მისცემს დაინტერესებულ პირს, რომელიც მიმართავს სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაჩქარებული მომსახურების გაწევის მიზნით, იმავდროულად მიიღოს პერსონალური კონსულტანტის მომსახურება, რომელიც მას ავტომატურად დაენიშნება.**

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილების ფარგლებში, წესით განსაზღვრული 10-დღიანი მომსახურებების საფასურების განაკვეთები იზრდება. კერძოდ, **მე-5 მუხლის:**

4[1]. განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალების განხილვა:

ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 10000 ლარი, ნაცვლად 5000 ლარისა;

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით 10 დღეში ხდება 17000 ლარი, ნაცვლად 10 000 ლარისა;

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 30000 ლარი, ნაცვლად 20 000 ლარისა;

4[2]. განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების კორექტირებული პროექტის განხილვა:

ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 10000 ლარი, ნაცვლად 5000 ლარისა;

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით 10 დღეში ხდება 17000 ლარი, ნაცვლად 10000 ლარისა

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 30000 ლარი, ნაცვლად 20 000 ლარისა;

4^3. განაშენიანების რეგულირების გეგმის განხილვა:

ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 15000 ლარი, ნაცვლად 7500 ლარისა;

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით 10 დღეში ხდება 25000 ლარი, ნაცვლად 15000 ლარისა;

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 45000 ლარი, ნაცვლად 3000 ლარისა;

4^4. განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის განხილვა:

ა) ერთი ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 15000 ლარი, ნაცვლად 7500 ლარისა;

ბ) ერთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე, მაგრამ არაუმეტეს ხუთი ჰექტარის ჩათვლით 10 დღეში ხდება 25000 ლარი, ნაცვლად 15000 ლარისა;

გ) ხუთ ჰექტარზე მეტი მოცულობის მიწის ნაკვეთზე 10 დღეში ხდება 45000 ლარი, ნაცვლად 30 000 ლარისა.

მომხსენებლის მითითებით, წესის მე-5 მუხლს ასევე ემატება შენიშვნა, რომლის თანახმადაც დაინტერესებული პირი, ამ მუხლის 4^1 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“, „გ.ა“ ქვეპუნქტებით, 4^2 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“, „გ.ა“ ქვეპუნქტებით, 4^3 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“, „გ.ა“ ქვეპუნქტებით და 4^4 პუნქტის „ა.ა“, „ბ.ა“ და „გ.ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დაჩქარებული მომსახურების გაწევის მოთხოვნის შემთხვევაში, **იმავდროულად იღებს პერსონალური კონსულტანტის მომსახურებას** „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილების** პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული **„მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის წესის“ (დანართი №13) შესაბამისად.**

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა **შეჯამების სახით აღნიშნა,** წარმოდგენილი ცვლილებები უზრუნველყოფს წესის შესაბამისობაში მოყვანას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებაში შესატან ცვლილებებთან. მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2025 წლის პირველი თებერვალი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ნინო ბაგაშვილმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთორმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს" მიერ გასაწევი ზოგიერთი ანაზღაურებადი მომსახურების სახისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის №87-81 დადგენილებით** დამტკიცებულ **„მუნიციპალური სერვისების პერსონალური კონსულტანტის მომსახურების პირობებისა და საფასურის ოდენობის განსაზღვრის წესში"** (შემდგომში - „წესი") **ცვლილების შეტანას.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ახლებური რედაქციით ჩამოყალიბდება **წესის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი,** რომლის თანახმადაც:

„5. პერსონალური კონსულტანტი იღებს შრომის ანაზღაურებას კანონმდებლობით დადგენილი წესით რაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოიცავდეს ასევე დამატებით შრომის ანაზღაურების მიცემას თითოეულ ობიექტზე ან/და ამ წესის მე-9 მუხლის შესაბამისად გაწეული მომსახურებისათვის."

ნინო ბაგაშვილის განმარტებით, წესს დაემატება შემდეგი შინაარსის მე-9 მუხლი:

„მუხლი 9. პერსონალური კონსულტანტის მომსახურების განსაკუთრებული პირობები

1. პირი, რომელიც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიმართავს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ დაჩქარებული მომსახურების გაწევისა და მასზე დაწესებული საფასურის გადახდის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის №31-74 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის 4^1 პუნქტის „ა.ა", „ბ.ა", „გ.ა" ქვეპუნქტებით, 4^2 პუნქტის „ა.ა", „ბ.ა", „გ.ა" ქვეპუნქტებით, 4^3 პუნქტის „ა.ა", „ბ.ა", „გ.ა" ქვეპუნქტებით და 4^4 პუნქტის „ა.ა", „ბ.ა" და „გ.ა" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დაჩქარებული მომსახურების გაწევის მიზნით, იგი იმავდროულად იღებს პერსონალური კონსულტანტის მომსახურებას. ასეთ შემთხვევაში, ამ წესით გათვალისწინებული განცხადების (პერსონალური კონსულტანტის მომსახურების მიღების მიზნით) წარდგენა არ ხდება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, პერსონალური კონსულტანტი დაუყოვნებლივ უკავშირდება დაინტერესებულ პირს და აცნობებს მის მიერ მომსახურების გაწევის შესახებ.

3. პერსონალური კონსულტანტის მომსახურება მოიცავს:

ა) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ან განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისათვის საჭირო დოკუმენტაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას;

ბ) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ან განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებისათვის შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებში, კანონმდებლობით დადგენილი ვადების ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოებისათვის კოორდინაციის პროცესში ხელშეწყობას;

გ) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების ან განაშენიანების რეგულირების გეგმის განხილვის დროს, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული შენიშვნის/ხარვეზის/მოთხოვნის განმარტებას.

4. პერსონალური კონსულტანტის მომსახურება სრულდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 3 თვეში.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული პერსონალური კონსულტანტის მომსახურებისათვის საფასური არ გადაიხდება.

6. ეს მუხლი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ პერსონალური კონსულტანტი უკვე ახორციელებს მომსახურებას ამ წესის შესაბამისად და ამ მომსახურების ფარგლებში დაინტერესებული პირის მიერ განხორციელდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დაჩქარებული მომსახურების მოთხოვნა.

7. პერსონალური კონსულტანტის მიერ ამ მუხლის შესაბამისად მომსახურების გაწევის შემთხვევაში, მასზე ვრცელდება ამ წესით გათვალისწინებული დებულებები, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის დადგენილი.“

მოხსენების მიწურულს, ნინო ბაგაშვილმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ პროექტის მიღების მიზანია, პერსონალური კონსულტანტის მომსახურების განსაკუთრებული პირობების დადგენა. კერძოდ, განისაზღვრება ის დაჩქარებული მომსახურებები, რომლის მოთხოვნის შემთხვევაში **დაინტერესებული პირი იმავდროულად იღებს პერსონალური კონსულტანტის მომსახურებას, პერსონალური კონსულტანტის მომსახურებისათვის საფასურის გადახდის გარეშე. მომხსენებელმა აქვე დასძინა,** რომ **დადგენილების ამოქმედების თარიღად განისაზღვრება 2025 წლის პირველი თებერვალი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. გიორგი შარკოვმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემას, **თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტის შესახებ სამმხრივი ხელშეკრულების გაფორმებაზე, აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ შორის.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საქართველოსა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის ხელი მოეწერა **სასესხო შეთანხმებას 125 000 000 (ას ოცდახუთი) მილიონ ევროზე თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად.** კერძოდ, აღნიშნული პროექტი **მიზნად ისახავს თბილისის მეტროს სისტემის ეფექტიანობის, სანდოობის, უსაფრთხოებისა და მდგრადობის გაზრდას ახალი მოძრავი შემადგენლობის შესყიდვის გზით.**

მომხსენებლის განმარტებით, სასესხო შეთანხმების დანართი N1-ის თანახმად, წარმოდგენილი პროექტი სამკომპონენტია და ითვალისწინებს შემდეგს:

კომპონენტი A: მოძრავი შემადგენლობის შეძენა. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება:

- მეტროს ახალი ელექტროვაგონების შესყიდვა, 4-ვაგონიანი და 5-ვაგონიანი კონფიგურაციის შემადგენლობის ჩათვლით, და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" თანამშრომელთა გადასამზადებლად სასწავლო სიმულატორის შესყიდვა.
- ახალი მოძრავი შემადგენლობის წარმოებაზე, მოწოდებასა და ექსპლუატაციაში გაშვებაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი კონსულტანტის ხარჯი.

კომპონენტი B: შესაძლებლობების გაზრდა და ინსტიტუციონალური გაძლიერება. აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში დაფინანსდება:

- საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა პროექტის მართვის, შესყიდვების, მონიტორინგის, ფინანსური მართვისა და გარემოსდაცვითი და სოციალური აქტივობების კუთხით ტექნიკური შესაძლებლობების გასაძლიერებლად;
- შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" თანამშრომელთათვის სტრატეგიული გადასამზადებელი პროგრამების უზრუნველყოფა, რომლებიც ფოკუსირებული იქნება მეტროს თანამედროვე სისტემების ოპერირებასა და მოვლა-შენახვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ტექნიკურ ასპექტებზე; საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება ურბანული მეტროს ფუნქციონირებაზე, უსაფრთხოების რისკების მართვასა და მომხმარებელთა მომსახურების შესახებ, რაც მოიცავს სასწავლო, სამოგზაურო, სადღეღამისო და სხვა საჭირო ხარჯების ანაზღაურებას;
- კიბერუსაფრთხოების შეფასება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის".

კომპონენტი C: ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლა და წინამოსამზადებელი დიზაინი დეპოსა და გვირაბის რეაბილიტაციისთვის. აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაფინანსდება:

- საკონსულტაციო ფირმის დაქირავება ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის განსახორციელებლად (რაც მოიცავს წინასწარ გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასებას) და ორი დეპოსა და გვირაბის, როგორც მეტროს მოდერნიზაციის ნაწილის წინასწარი დიზაინების მომზადება.

მომხსენებლის მითითებით, მეტროს ახალი ელექტროვაგონების შესყიდვა და მიწოდება განხორციელდება 2030 წლის ჩათვლით, ხოლო სესხის დაფარვა დაიწყება 2032 წლიდან.

მოხსენების მიწურულს, გიორგი შარკოვმა შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკს (AIIB) შორის

პროექტის (თბილისის მეტროს მოდერნიზაციის პროექტი) შესახებ ხელშეკრულების“ გაფორმებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიღების მიზნით, წინამდებარე განკარგულების და ხელშეკრულების პროექტის წარმოდგენა.

მოისმინეს:

14. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მეთოთხმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი N35-ში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ჯამურად - 1025.93 კვ.მ.) ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათ უფლებამონაცვლეებისთვის (10 პირი) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, განკარგულების პროექტის დანართით წარმოდგენილი პირები არიან ყოფილი N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები/მათი უფლებამონაცვლეები, რომელთა წინაშეც სახელმწიფოს საშინაო ვალი აქვს აღიარებული, ხოლო ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს იმ მიწის ნაკვეთს, რომელიც ქ. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1987 წლის 13 აგვისტოს N20.47.512 გადაწყვეტილების მიხედვით, გამოყოფილი იყო N620 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისთვის. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლები აშენებულია და მასში ფაქტობრივად ცხოვრობენ ამავე კოოპერატივის წევრების/მათი უფლებამონაცვლეების ნაწილი. აღნიშნული კოოპერატივის წევრთა ნაწილი, სსიპ - ქონების მართვის სააგენტომ გადაანაწილა სხვადასხვა პროექტებში და დღეის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფის გარეშე დარჩენილნი არიან ის პირები, ვისაც ფაქტობრივად ზემოაღნიშნულ მისამართზე აქვთ დაკავებული საცხოვრებელი ფართები, რომლებიც N620 კოოპერატივის წევრებისთვის იყოს გამოყოფილი.

მომხსენებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებულია აღნიშნული კოოპერატივის უფლებამონაცვლე ამხანაგობის - „ნუცუბიძის პლატო 620“-ის თავმჯდომარის - ირინა გეგეჭკორის 2022 წლის 14 მარტის განცხადებითაც. შესაბამისად, აღნიშნული პირებისთვის მათ ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემით, მუნიციპალიტეტის ვალდებულება აღნიშნული კოოპერატივის წინაშე შესრულებული იქნება, ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ფართებზე მათ საკუთრების უფლება გადაეცემათ მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე უარის თქმის სანაცვლოდ.

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული

ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების მითითების, ასევე განკარგულების პროექტის სათაურისა და მე-2 მუხლის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. **სერგო ბირკაძემ** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთხუთმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N19-ში მდებარე **4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით,** მოქალაქე ქეთევან ქავზინაძისთვის **იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დაინტერესებული პირის საკუთრებაშია ქალაქ თბილისში, ი. აბაშიძის ქ. N19-ში არსებული კომერციული ფართი. ამასთანავე, მოთხოვნილ მიწის ნაკვეთზე მოწყობილია აღნიშნულ ფართში ჩასასვლელი კიბე, რომელიც, დაინტერესებული პირის განმარტებით, ერთადერთი შესასვლელია ფართში და სხვა ალტერნატივა არ აქვს.

სერგო ბირკაძემ ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, **ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს** მიეცა **დადებითი შეფასება.**

მომხსენებლისვე მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 6 დეკემბრის დასკვნის თანახმად, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის **წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 5 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 576 ლარის ოდენობით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 576 ლარის ოდენობით,** იჯარის საგნის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის დღიდან ამ განკარგულების პროექტის საფუძველზე იჯარის გაფორმებამდე პერიოდში აღნიშნული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ფაქტობრივად სარგებლობისთვის გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის გადახდის ვალდებულების გათვალისწინებით.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის მე-3 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთექვსმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს სსიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N100, სკვერის მიმდებარედ არსებული 773 კვ.მ. **მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის შეთანხმებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, 2024 წლის 9 დეკემბერს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი განცხადებით მიმართა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მდივანმა და ითხოვა ზემოხსენებული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემა. წარმოდგენილ წერილზე **თანდართულია 3075 მოქალაქის ხელმოწერების სია.**

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს პოზიციებზე, რომელთა თანახმადაც, **შესაძლებლად იქნა მიჩნეული მითითებული** მიწის ნაკვეთის განკარგვა, **შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.**

მომხსენების მიწურულს, **სერგო ბირკაძემ** დასკვნის **სახით აღნიშნა,** რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, დაინტერესებული პირისთვის უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. სერგო ბირკაძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეჩვიდმეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა №7-ში მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 **კვ.მ. ფართის და ამავე ფართში განთავსებული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, კვების ობიექტის**

ფუნქციონირების მიზნით, შპს „აგროჰაბისთვის“ **იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის** საკითხის **შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 24 ოქტომბრის ბრძანების საფუძველზე, შპს „აგროჰაბს“ **პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით 2 წლის ვადით** (2024 წლის 24 ოქტომბრამდე) გადაეცა ქალაქ თბილისში, ჟიული შარტავას ქუჩა №7-ში მდებარე შენობა-ნაგებობა №1-ში, მე-14 სართულზე არსებული 392.52 კვ.მ. ფართი და ამავე ფართში განთავსებული მომრავი ქონება, **კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით.** დაინტერესებული პირის მიერ, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში 2024 წლის 8 ნოემბერს წარდგენილი წერილის თანახმად, შპს „აგროჰაბი“ ფაქტობრივად აგრძელებს ზემოაღნიშნული უძრავი და მოძრავი ქონებით სარგებლობას და უზრუნველყოფს კვების ობიექტის ფუნქციონირებას, შესაბამისად, დაინტერესებული მხარის მიერ მოთხოვნილ იქნა აღნიშნული საიჯარო ურთიერთობის გახანგრძლივება მომდევნო 2 წლის ვადით.

სერგო ბირკაძის განმარტებით, სსიპ - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 20 დეკემბრის ექსპერტიზის დასკვნების თანახმად, ზემოაღნიშნული **უძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ** განისაზღვრა 23551 ლარით, ხოლო ზემოაღნიშნული **მოძრავი ქონების მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2024 წლის დეკემბრის თვის მდგომარეობით, განისაზღვრა 9693 ლარით.**

მოხსენების მიწურულს, სერგო ბირკაძემ შეჯამების სახით აღნიშნა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა **შემდეგი პირობების გათვალისწინებით:**

- **იჯარის მოქმედების ვადა - 2 წელი;**
- **საიჯარო ქირის წლიური საფასური - 36 000 ლარი.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის სათაურის, პირველი და მე-3 პუნქტების მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის რეკომენდაციებზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. დავით ჩანქსელიანმა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეთვრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემას, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებისა და მისი გაუვნებლობის მომსახურების ორგანიზების,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-

იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირის, **შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მეშვეობით განხორციელებაზე,** შემდეგი სამუშაოების მოცულობით:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქუჩების, მოედნების, შიდა კვარტალური ტერიტორიების, სკვერებისა და პარკების დაგვა-დასუფთავება, მოსახლეობის, ორგანიზაციების, დაწესებულებების, ინდივიდუალური მეწარმეებისა და იურიდიული პირების მიერ წარმოქმნილი მყარი (საყოფაცხოვრებო) ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირება, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსება და გაუვნებლობა, ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მართვა, თოვლცვენის დროს ქუჩებსა და მოედნებზე მარილის მოყრა, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად;

ბ) ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის დარიცხვა-ამოღების ორგანიზება, მონაცემთა ბაზების დროული განახლება, მომხმარებელთა გადამხდელად დარეგისტრირება, არსებულ დარიცხვაში კორექტირების შეტანა, დარიცხვის შეწყვეტა, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთვების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად** და დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელთა მიმართვის შემთხვევაში, მოსაკრებლის გადამხდელთათვის დარიცხული მოსაკრებლის კორექტირება და ასახვა მონაცემთა ბაზაში;

გ) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილების** ამოქმედების დღიდან, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის დავალიანების გადახდის განწილვადება, ამავე დადგენილებით დამტკიცებული „დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის“ (დანართი 1) მე-6 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი პირობებით;

დ) დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ინდივიდუალურ მეწარმეებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ქ. თბილისის მოსახლეობისთვის დედაქალაქის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასური) დავალიანების განწილვადება, **არაუგვიანეს 2025 წლის 31 დეკემბრისა;**

ე) დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების ტარიფის (საფასური) დავალიანების თანხაში დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადასახდელი ტარიფის (საფასური) უზუსტობის შემთხვევაში, დაზუსტებული ოდენობის განსაზღვრა დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

მოხსენების მიწურულს, დავით ჩანქსელიანმა აღნიშნა, რომ განკარგულების პროექტის თანახმად, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის

მომსახურების ტარიფის **დავალიანების ჩარიცხვა განხორციელდება შპს „თბილსერვის ჯგუფის“** ანგარიშზე.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულის ტექნიკურად გამართვისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების ნომრის სწორი სახით მითითების რეკომენდაციაზე, რაც გაზიარებულ იქნა მომხსენებლის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ნინო ვარდონისანიძემ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო კომისიის სხდომის დღის წესრიგით, **რიგით მეცხრამეტე საკითხად განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს **მისამართზე - ქ. თბილისი, მარიჯანის ქუჩა N2 - არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (განკარგულება N24.1785.2010, 23.10.2024; განკარგულება N24.1968.2208, 20.11.2024) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (განკარგულება N596, 22.11.2024) მიერ შეთანხმებული დამატებითი/დაზუსტებითი (ფაქტობრივად განახლებული) ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, **შემდეგი დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმებას** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან:

- **„შეთანხმდეს არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) საანგარიშო ფართობის კროკების წარდგენის გარეშე. ამასთან, მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) განისაზღვროს - 0-ით.“**

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, 2024 წლის 25 დეკემბერს, შპს „საბურთალომ“ და შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფმა“ წერილობითი განცხადებით მიმართეს **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საკითხების** განმხილველ **კომისიას (შემდგომში - „კომისია“)** და მოითხოვეს მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის (24.1785.2010, 23.10.2024; 24.1968.2208, 20.11.2024) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N596, 22.11.2024)) დაზუსტდეს ხელშემწყობი ღონისძიებები და ქალაქ თბილისში, მარიჯანის ქუჩა N2-ში მდებარე მიწის ნაკვეთისთვის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს (კ-3) გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის კროკების წარდგენის გარეშე. ამასთანავე, გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) განისაზღვროს - 0-ით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, შპს „საბურთალოს“ და შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის“ განმარტების თანახმად, სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 19 დეკემბრის შუალედური გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტით, დაინტერესებულ პირებს დაევალათ, **მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტის (კ-3) საანგარიშო ფართობის კროკების წარდგენა და (კ-3 - 0.1)-ის დაცვა.** ამასთანავე, აღნიშნული სამშენებლო ობიექტი არის დაუმთავრებელი სტატუსის მქონე

ობიექტი, რომლის მშენებლობა უნდა განხორციელდეს ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, უკვე არსებული, შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ფარგლებში. მშენებლობის ფარგლებში თითოეულ ფართზე რეგისტრირებულია დაზარალებულ პირთა საკუთრების უფლება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია შეიცვალოს ე.წ ,,მოშენება" ისე რომ, დაცული იყოს მიწის ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი (კ-3).

მოხსენების მიწურულს, ნინო ვარდოსანიძემ დასკვნის სახით აღნიშნა, რომ კომისიის დადებითი რეკომენდაციისა და იმის გათვალისწინებით, რომ **ე.წ. „ცენტრ პოინტის" საქმეში დაზარალებულია უამრავი პირი, საქმის მიმართ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი,** ამასთანავე, **წარმოდგენილი დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიება არ იწვევს საერთო სამშენებლო ფართისა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტებას,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ზემოაღნიშნული დამატებითი/დაზუსტებითი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შესათანხმებლად წარმოდგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან.

აზრი გამოთქვეს:

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა განკარგულების პროექტის პრეამბულის ტექნიკურად გამართვისა და სამართლებრივ საფუძვლებში ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლის კონკრეტული პუნქტების დაზუსტების, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების სათაურის სწორად მითითებისა და განკარგულების პროექტის მე-2 პუნქტის ტექნიკურად გამართვის რეკომენდაციებზე.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ნ. ვარდოსანიძე	ნინო ვარდოსანიძე
სხდომის მდივანი	ნ. დანელიშვილი	ნინო დანელიშვილი